ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31223466**
თარიღი: **12/12/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“
სხდომის ოქმი №16

ქ. ლანჩხუთი

7.12.2022 წელი
11:00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე – **მაკა მშვიდობაძე.**
სხდომას ესწრებოდნენ: ჯუმბერ ბლაგიძე, გოჩა ჯანაშია.
მოწვეული სტუმრები: შპს „ქალთა საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს აღმასრულებელი დირექტორი რევაზ ჩხაიძე.
შპს „ლანჩხუთის“ დირექტორი ლევან იმნაძე, ბუღალტერი თემურ ხუხუნაიშვილი.
ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დირექტორი ლია ურუშაძე, ბუღალტერი ლანა ზურაბიანი.
ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ქალთა საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიშის მოსმენა.
/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

2. შპს „ლანჩხუთის“ 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიშის მოსმენა.
/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

3. ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიშის მოსმენა.
/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

4. სხვადასხვა:
ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.
მომხრე - 3 წევრი. წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველ საკითხი - შპს ქალთა საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში სხდომას წარუდგინა რევაზ ჩხაიძემ.

ფრაქციის წევრები დაინტერესდნენ წინა წელთან შედარებით რამდენით არის

გაზრდილი 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, ასევე გათვალისწინებულია თუ არა თანამშრომელთა ხელფასების 10%-იანი მატება, რაზეც რევაზ ჩხაიძემ უპასუხა, რომ 2022 წელს ბიუჯეტი წარმოდგენილი იყო 150 000 ლარით, ხოლო 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი განსაზღვრულია 167 000 ლარით. მიმდინარე წელსაც გათვალისწინებულია ხელფასების 10%-იანი მატება. მისი თქმით გუნდის სპონსორია „ლიბერთი ბანკი“, რომელიც ეხმარება 50 000 ლარით, ასევე ფეხბურთის განვითარების ფონდი აფინანსებს 40 000 ლარით. მიუხედავად ამისა არსებული ბიუჯეტი საკმარისი არ არის. ისინი ასევე დაინტერესდნენ რამდენი შტატიანი თანამშრომელია აღნიშნულ შპს-ში, რამდენი არის ხელფასის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი, რაზეც რევაზ ჩხაიძემ უპასუხა, რომ შტატით გათვალისწინებულია სამი თანამშრომელი. მინიმალური ხელფასი შეადგენს 400 ლარს, ხოლო მაქსიმალური 1000 ლარით არის განსაზღვრული, ჯამში თვეში ხელფასი შეადგენს 23 000 ლარს. მისი თქმით, სასურველია 2023 წლის ბიუჯეტი გაიზარდოს 300 000 ლარამდე, რათა ისევ გააგრძელონ ბრძოლა ჩემპიონობისთვის, შპს „ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-სთვის აუცილებელია საცხოვრებელი ფართის შეძენა-მოწყობა.

ფრაქციის წევრებმა შპს „ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის ლანჩხუთს“ ზემოთ გამოთქმული პრობლემების მოგვარებაში მხარდაჭერა აღუთქვა.

შპს „ქალთა საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში მოსმენილი იქნა ფრაქციის წევრების მიერ.

დღის წესრიგის მეორე საკითხი- შპს „ლანჩხუთის“ 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში სხდომას გააცნო ბატონმა ლევან იმნაძემ.

მან განმარტა, რომ წინა წლის ბიუჯეტი გათვალისწინებული იყო 190000 ლარით, 2023 წლის ბიუჯეტი კი წარმოდგენილია 203 000 ლარით. ასევე, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია თანამშრომელთა ხელფასების 10%-იანი მატება.

ფრაქციის წევრები დაინტერესდნენ შპს „ლანჩხუთში“ არსებული პრობლემებით,

რაზეც ლევან იმნაძემ უპასუხა, რომ ევგრაფ შევარდნაძის სტადიონს ესაჭიროება შენობა-ნაგებობის გადახურვა, მოსაწესრიგებელია სარბენი ბილიკი, სადაც სასურველია მოხდეს ასფალტის საფარის მოწყობა და ახალი ელექტროტაბლოს შეძენა.

ფრაქციის წევრებმა შპს „ლანჩხუთს“ გამოთქმული პრობლემების მოგვარებაში მხარდაჭერა აღუთქვა.

შპს „ლანჩხუთი“-ს 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში მოსმენილი იქნა ფრაქციის წევრების მიერ.

დღის წესრიგის მესამე საკითხი- ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში სხდომას გაცნო გაერთიანების დირექტორმა ლია ურუშაძემ. მან განმარტა, რომ ა(ა)იპ. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებაში“ შედის ლანჩხუთის მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო, სუფსის სამუსიკო და ვილი ბარამიძის სამხატვრო სკოლები, სადაც არის სხვადასხვა სახის განყოფილებები. სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებაში 2022 წელს დასაქმებული იყო 80 თანამშრომელი, აქედან შტატით-71, ხოლო შტატგარეშე-9. ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ დაფინანსებამ 2022

წლისთვის შეადგინა 325000 ლარი. 2022 წლის 1 მარტს ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად მოხდა ხელფასების მატება, როგორც ადმინისტრაციაში დასაქმებულ თანამშრომელთა, ასევე პედაგოგების, კერძოდ: საშუალო სპეციალური განათლების პედაგოგთა ერთი საათის ანაზღაურება ნაცვლად 15 ლარისა განისაზღვრა 21 ლარით, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგს ნაცვლად 17 ლარისა განისაზღვრა 23 ლარით. ადმინისტრაციაში დასაქმებულ თანამშრომელთა ხელფასები გაიზარდა 10,15,20 და 25 პროცენტით, სადაც განსაკუთრებულად დაბალი იყო ხელფასი მოხდა 25%-იანი მატება. ხელფასის ზრდამ დიდი გავლენა მოახდინა მუშაობის შედეგსა და ხარისხზე. 2023 წლისთვისაც იგეგმება ხელფასების 10%-იანი მატება. 2022 წლის 1 სექტემრიდან სამხატვრო სკოლაში დაემატა არჩევითი საგნები: ხაზვა, ქარგვა და ქსოვა. 2022 წლის 15 მარტს ლანჩხუთის მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დარბაზში მასტერკლასი ჩაატარა საქართველოს ხელოვნების აკადემიის რექტორმა, პროფესორმა, მსოფლიო დონის პიანისტმა, ვალერიან შიუკაშვილმა, აღსანიშნავია მისი ქველმოქმედება, კერძოდ დააჯილდოვა 6 მოსწავლე 4 თვის საფასურის გადასახადით. 2021 წელს საქართველოს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა პროექტი „სამუსიკო სასწავლებლებსა და სკოლებში ინსტრუმენტების განახლების შესახებ“. 2022 წელს სამინისტრომ აღნიშნული პროექტი გააგრძელა და მარტის ბოლოს გამოცხადებულ ამ პროექტში მონაწილეობა მიიღო სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებამ, რომელშიც გაიმარჯვა და მოიგო გრანტი 30000 ლარის ოდენობით, ამ თანხას დაემატა 20000 ლარი 2021-2022 წლების ორივე სკოლის ადგილობრივი შემოსავლების. 50 000 ლარით ორთავე სამუსიკო სკოლისთვის შეძენილი იქნა ორი როიალი და 4 პიანინო. 2022 წელს ადგილობრივი შემოსავლებიდან ეკონომიის ხარჯზე გარემონტდა, ლანჩხუთის მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დარბაზი. შემოიღობა სამხატვრო სკოლის ეზო და მოიხატა შენობის წინა ფასადი.

2022 წლის სექტემბერში დაიწყო სუფსის სამუსიკო სკოლის რემონტი, რომელიც დაწყებისთანავე შეწყდა, რადგან დარბაზის იატაკი ჩაინგრა. ჯერ არ არის დადგენილი რამდენად უსაფრთხო იქნება მისი გარემონტება.

მუნიციპალიტეტის მერიას სურს მოახდინოს ამ სკოლისათვის ახალი შენობის აშენება თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, მაგრამ დღემდე არ გამოიძებნა სკოლისთვის შესაბამისი ტერიტორია. 2023 წლის ბიუჯეტის განხილვის დროს ამ შენობის აგებისთვის საჭირო თანხა არ არის გათვალისწინებული და ძველი შენობისთვის შეძენილი სახურავი, ასევე იატაკის მასალა ფუჭდება, სკოლას აღარ ააქვს საკონცერტო და საგამოცდო დარბაზი.

ფრაქციას მიზანშეწონილად მიაჩნია ვილი ბარამიძის სახელობის სამხატვრო სკოლისთვის თუნუქის წყალსაწრეტი სისტემის მოწესრიგება, გათბობის ქვაბის გამოცვლა, სუფსის სამუსიკო სკოლისთვის არსებული ფართის გაფართოება ან ახალი ფართის გამოყოფა, ხელფასების გათანაბრება ჩოხატაურის სამუსიკო სკოლათან.

ფრაქციის წევრებმა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებას“ ზემოთ გამოთქმული პრობლემების მოგვარებაში მხარდაჭერა აღუთქვა.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში მოსმენილი იქნა ფრაქციის წევრების მიერ.

სხვადასხვა საკითხები:

დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ დააყენა წინადადება ფრაქციის მიერ საკრებულოსა და ფრაქციის სხდომებზე გამოთქმულ შენიშვნებზე მოხდეს დროული რეაგირება მერიის მხრიდან და ეცნობოს წერილობით.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

მაკა მშვიდობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის"-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის" თავმჯდომარე